ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს, ისნის რაიონის

მაჟორიტარი წევრის,

ლევან დავითაშვილის 2018 წლის

ანგარიში.

შესავალი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ისნის რაიონის, მაჟორიტარი წევრის ლევან დავითაშვილის წარმომადგენლობა ფუნქციონირებს 2018 წლის 20 თებერვლიდან. საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობა ხელმძღვანელობდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავდა უფლებამოსილების ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმუშაობდი რომ მოსახლეობის როლი თვითმმართველობის საქმიანობაში გაზრდილიყო. ამ მიზნით ვმართავდი საჯარო განხილვებს, დისკუსიებს და მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ვგეგმავდით ადგილობრივ ბიუჯეტს.

ასევე, პრობლემების ადგილზე გაცნობის მიზნით წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად ხშირად ვმართავთ გასვლითი ხასიათის შეხვედრებს, სადაც ამხანაგობის თავმჯომარეებთან და მოსახლეობასთან ერთად განვიხილავთ არსებულ პრობლემებს, ვაცნობთ მათ მიმდინარე სამუშაოებს და სამომავლო გეგმებს.

ჩვენს რაიონში დაახლოებით 210 ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობაა შექმნილი. ბმს-ს ძირითად პრობლემად რჩება წითელ ხაზებში არსებული ცენტრალური კანალიზაციის მილების, ჭების უკიდურესად ამორტიზირებული ქსელის რეაბილიტაცია ფაქტობრივად ყველა ამხანაგობის თავმჯდომარე აწყდება უდიდეს პრობლემას აღნიშნული მილების, ჭების რემონტის და გაწმენდის თაობაზე. კერძო კომპანიის მიერ ერთჯერადად გაწმენდა საკმაოდ ძვირად ღირებულია, ზოგ

შემთხვევაში ცენტრალური მილის გაწმენდა თვეში 4 ჯერ საჭიროებს, რაც საბოლოო ჯამში დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მოსახლეობას უჭირს საფასურის გადახდა და შესაბამისად აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა ფერხდება. ამას მოყვება ფეკალური მასების ქუჩაში გადმოდინება, რაც თავის მხრივ ჯანმრთელობისათვის სახიფათო გარემოს ქმნის. ისნის გამგეობის მიერ ზოგიერთი ასეთი პრობლემა უკვე აღმოფხვრილ იქნა, რასაც ინტენსიურ რეჟიმში ვუწევდი მონიტორინგს.

ამხანაგობების აზრით მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სკვერების, სათამაშო მოედნების, გაზონების ავტომანქანებად გამოყენების საკითხი. ასევე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების განლაგებისთვის ტროტუარების შეჭრა და ტერიტორიის დასუფთავება. მნიშვნელოვანია, არსებული პარკების გამწვანება, საჭიროებისამებრ ელექტრო სანათებით აღჭურვა და სარწყავი სისტემის ფუნქციონირება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოქალაქეთა პრობლემები, რომლებიც ითხოვენ სოციალურად დაუცველის სტატუსის დარეგისტრირების შემდეგ მინიჭებული გაზრდილი სარეიტინგო ქულების გადამოწმებას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უპასუხოდ რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიებები, ყველაზე მტკივნეულ პრობლემად მაინც რჩება დასაქმება და მიწის ლეგალიზაციასთან არსებული საკითხები.

შემოსული განცხადებები

შემოსული განცხადებების უმეტესობა სოციალურ საკითხებს წარმოადგენს, კერძოდ: ოპერაციების, მკურნალობის და მედიკამენტების დაფინანსება. ასევე ბევრ მათგანს შუამდგომლობის საფუძველზე გაეწია მიზნობრივი ფულადი დახმარება.

საანგარიშო პერიოდში მიღებულია და შესაბამისი დახმარება გაეწია 734 მოქალაქეს, მათგან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში შუამდგომლობა გაეწიათ 235 მოქალაქეს :

1. სოციალური შინაარსის წერილები :

1.1. სამედიცინო მომსახურება (მედიკამენტები, მკურნალობა, ოპერაცია, გამოკვლევა) დაუფინანსდა -165 დამიანს

1.2. მიზნობრივი ფულადი დახმარება გაეწია _70 ადამიანს

გარდა ამისა, ხშირად ვეხმარებოდი და სასაჩუქრე ნობათები გადავეცი ვაზისუბანში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს. ჩემი პირადი სახელფასო ანაზღაურებიდან სოციალურად შეჭირველულ ოჯახებზე გადარიცხული თანხა შეადგენს 19372 ლარს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

რაც შეეხება ინფრასტრუქტურული კუთხით ჩატარებულ სამუშაობს საანგარიშო პერიოდში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 2018876 ლარი.

საგზაო სამუშაობი - 836428 ლარი.

კეთილმოწყობითი სამუშაოები - 841428ლარი.

ბმა - 337718 ლარი.

საგზაო სამუშაოები:

1	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №5
2	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №5ა
3	ვ/უ III მ/რ II კვ კორპუსი №8
4	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №16ა
5	ვ/უბნის I მ/რ კორპუსი №8ა
6	ვარკეთილი IV მ/რ III კვ კ-№4-5 ეზო
7	სამგორის დასახლება კორპუსი №26ა ეზო
8	ონაშვილის ქუჩა კორპუსი №5
9	წულუკიძის III შესახვევი კორპუსი №6
10	ვ/უბნის I მ/რ კორპუსი №12-ის მიმდ.
11	ვ/უბნის დასახლება №90 საჯარო სკოლის მიმდებარედ
12	წულუკიძის ქუჩა კორპუსი №15-ის მიმდებარედ
13	ვარკეთილის IV მ/რ III კვ კორპუსი №5
14	ვ/უ დასახლება კორპუსი №9-10 მიმდ
15	ვ/უბნის IV მ/რ I კვარტალი №156 ბ/ბაღის მიმდებარედ
16	ვ/უ II მ/რ კორპუსი №5,6,7,8 მიმდებარედ
17	ბეგვიაშვილის ქუჩის IV და V ჩიხი
18	ონაშვილის ქუჩაზე ტროტუარი
19	ტატიშვილის ქუჩა
20	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №10
21	ბეგიაშვილის ქუჩის მე-12 ჩიხი
22	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №9-10
23	ვ/უბნის I მ/რ ბ/ბაღი №121 მიმდებარედ
24	გ. ონაშვილის ქუჩა
25	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №26-27
26	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №10
27	ვ/უბნის დასახლება კ №8-10ა შორის
28	ვ/უბნის დასახლება კ №10ა-12-ს შორის
29	ვ/უბნის დასახლება კ №8 მიმდებარედ
30	ვ/უბნის დასახლება კ №12 მიმდებარედ
31	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №27
32	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №17
33	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №23
34	ვაზისუბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ. კ-3
35	ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი №5-6-7-8 გზის ბარიერი - ბოწკინტი
36	წულუკიძის IV შესახვევი კორპ №10
37	ვ/უბნის III მ/რ II კვ კორპუსი №3
38	ვ/უბნის I მ/რ კორპუსი №15

39	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №17-18-19
40	ვ/უბნის III მ/რ II კვ ასასვლელთან
41	ვ/უბნის IV მ/რ I კვ 172-ე სკოლის მიმდ
42	ვარკეთილის IV მ/რ IIIკვ სკოლა №157
43	ვ/უბნის I მ/რ კორპუსი №8 წინა მხარე
44	ვ/უბნის I მ/რ კორპუსი №8 უკანა მხარე
45	ვ/უბნის I მ/რ კორპუსი №9 წინა მხარე
46	ვ/უბნის I მ/რ კორპუსი №9 უკანა მხარე
47	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №15
48	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №16
49	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №9
50	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №27

რეაბილიტირებული სკვერები და მოედნები:

1	ვ/უბნის IV მ/რ I კვ კორპუსი №10
2	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №18
3	ვ/უბნის IV მ/რ I კვ კორპუსი №3-5-7
4	ვ/უბნის IV მ/რ I კვ კორპუსი №21
5	წულუკიძის ქუჩა რაგბის სტადიონი
6	ვ/უბნის დასახლება კორპუსი №8-10
7	ვ/უბნის IV მ/რ I კვ კორპუსი №2-4-6
8	ვ/უბნის I მ/რ კორპუსი №15
9	კახეთის გზატკეცილი №36 III კორპუსი
10	შანდორ პეტეფის მე-4 შესახ №10
11	ვ/უბნის II მ/რ კორპუსი №2
12	გუთნის ქუჩა №9
13	ცუცქირიძის ქუჩა №7/2
14	გუთნის ქუჩა №56 -ეზო
15	იალბუზის ქუჩიდან მე-2 შორაპნის გვირაბამდე
16	ჩეხოვის ქუჩა №34
17	გუთნის ქუჩა №27-ის მიმდებარედ
18	ქეთევან წამებულის ქ №42

19	ივერიელის ქუჩა №12
20	გალავნის ქუჩა №26 ბ/ბაღის მიმდებარედ
21	მეტეხის ქუჩა №14-ის მიმდებარედ
22	წინანდლის შესახვევი სკვერში არსებული სტადიონი
23	ყვარლის ქუჩა №107ბ სარდაფი
24	ისნის ქუჩა №2

საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები:

1	ვაზისუბნის დასახლება კორპუსი №5
2	წულუკიძის ქ კორპუსი №23ბ
3	კახეთის გზატკეცილი №10
4	სამგორის დასახლება №32
5	ვ/უბნის მე-3 მ/რ კორპუსი №10
6	ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი №17
7	ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი №16
8	ვ/უბნის მე-4 მ/რ 1-ლი კვ კორპუსი №13
9	ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი №13
10	სამგორის დასახლება 29

სხვა აქტივობები

ამ ერთი წლის განმავლობაში მაქსიმალურად ვეცადეთ შეგვესრულებინა წინასაარჩევნო დაპირებები და მოსახლეობის თხოვნები. წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად მოგვმართავდნენ მარტოხელა დედები, რომლებიც გამოთქვამდნენ გულისტკივილს, რომ გარდა სტატუსისა არანაირი შეღავათი არ გააჩნიათ, სწორედ ამიტომ ჩვენმა წარმომადგენლობამ ირაკლი აბუსერიძის ბიუროს თანამშრომლებთან ერთად ჩაატარეს კვლევა და აღწერეს რაიონში მცხოვრები მარტოხელა დედების მონაცემები. ამის

შემდგომ, ჩვენ ვთანამშრომლობთ მარტოხელა დედათა და ბავშვთა დაცვის ასოციაცია: ,,მომავლის მზესთან'' სწორედ მათი დახმარებით და წარმომადგენლობის ორგანიზებით ეს ადამიანები არაეთ სოციალურ პროექტში ჩაერთნენ.

- ჩაუტარდათ უფასო სამედიცინო გამოკვლევები რესპუბლიკურ საავადმყოფოში.
- აქციის ფარგლებში, ერთ-ერთ მარტოხელა დედაზე სოციალური პასუხისმგებლობა აიღო აღნიშნულმა ორგანიზაციამ და მას ყოველ თვიურად გადაეცემა კვების ვაუჩერი.

ხშირი კონტაქტი გვქონდა მე და ჩემს წარმომადგენლობას ოქლში მდებარე საჯარო სკოლებთან და საბავშვო ბაგა-ბაღებთან, სადაც ღონისძიებების ხშირი სტუმრები ვიყავით. აღნიშნული აქტივობა ემსახურებოდა კულტურულ საგანმანათლებლო და სააღზრდელო დაწესებულებებში მოზარდების შემოქმედებით ინტელექტუალური დონის ამაღლებას.

კერძოდ, მაჟორიტარულ ოლქში არსებულ 157-ე სკოლაში გაიმართა მაშტაბური პროექტი „ინტელექტის დღე" რომელიც ხელს უწყობს მოზარდებში წიგნიერებისა და ცოდნის დონის ამაღლებას. ახალგაზრდების მოტივირება და თვითრეალიზაციის სურვილის წახალისება მნიშვნელოვანია. მომავალი თაობა, ის მთავარი რესურსია, რომელზეც უნდა დავაფუძნოთ ჩვენი ქვეყნის მომავალი. მათ უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რომ მიიღონ მრავალმხრივი განათლება, რადგან პერსპექტიულია სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს განათლებული, ჯანსაღი და პროგრესული ახალგაზრდობა.

საანგარიშო პერიოდში, ჩვენს რაიონში გაიხსნა სახელობითი სკვერები :

ჩვენ გვყავდა ისეთი მამულიშვილები, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და თავიგასწირეს ჩვენი ქვეყნისთვის. ამ გმირებს შორის იყვნენ მებრძოლები - ვალერი უტიაშვილი და არჩილ სირბილაშვილი, რომელთა სახელობის სკვერები ვაზისუბანში გაიხსნა.

მათი ღვაწლი ფასდაუდებელია და ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ამ გმირების ხსოვნა უკვდავყოთ და თავდადება თაობებს გადავცეთ.

ასევე უნდა ავღნიშნო, რომ პარლამენტის წევრ ირაკლი აბუსერიძესთან და ისნის რაიონის გამგებელმა კახა ლაბუჩიძესთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ისნის რაიონში, ვაზისუბნის დასახლებაში, აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების სახელობითი ორი ახალი სკვერი საზეიმო ვითარებაში გავხსენით. ღონისძიებას თბილისის საკრებულოს წევრები, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი ვლადიმერ იმნაძე და აფხაზეთის ომის ვეტერანი გია ყარყარაშვილი ესწრებოდა.

აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის არჩილ სირბილაშვილის სახელობის სკვერი ვაზისუბნის დასახლების N8 და N9 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო ვალერი უტიაშვილის სახელობის სკვერი ვაზისუბნის დასახლების N 10ა და N12 კორპუსის წინ მოეწყო.

ორივე მისამართზე დაიდგა მოსასვენებელი სკამები, ურნები და საბავშვო ატრაქციონები. ასევე, მოეწყო ბორდიური, საფეხმავლო ბილიკები მოიკირწყლა დეკორატიული ფილებით, დამონტაჟდა ლამპიონები და ჩატარდა გამწვანების სამუშაოები. სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 241 295 ლარი, რომელიც ისნის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კომპანია „ანელომ“ და შპს „ესენდეს“-მა შეასრულა.

სკვერების გახსნის ღონისძიებაზე, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ისნის რაიონის ფილიალის მოსწავლეების მიერ შესრულებული მხატვრული ნამუშევრებიც გამოიფინა, ახალგაზრდა მხატვრებმა კი, იმპროვიზებული ნამუშევრები შექმნეს. ერთ-ერთ სკვერში ასევე, ბავშვთა საჭადრაკო ტურნირი ჩატარდა, ხოლო სპორტულ მოედანზე, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, საფეხბურთო მატჩი გაიმართა.

ჩემი ინიციატივით უანგარო დონორთა აქცია, „გაიღე სისხლი გაუზიარე სიცოცხლე სხვას" ჩატარდა. აქცია ჩემს წარმომადგენლობაში გაიმართა, სადაც წარმომადგენლობის თანამშრომლებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ უანგაროდ გაიღეს სისხლი, რათა გადაარჩინონ სხვისი სიცოცხლე. აქცია მიზნად ისახავდა იმ ადამიანების დახმარებას ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. დონაციის აქციის ჩატარება უზრუნველყო საქართველოში ერთ-ერთმა წამყვანმა სისხლის ბანკმა, რომელიც 2007 წელს მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა.

საქართველოში უანგარო დონორობის დამკვიდრება მნიშვნელოვანია და მსგავსი აქციები პერმანენტულ ხასიათს უნდა იღებდეს და ეს არ იქნება ერთჯერადი ხასიათის და მსგავსი აქცია კვლავ დაიგეგმება მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობაში.

ასევე, ვაზისუბანში აქცია „მწვანე სივრცე სიცოცხლისთვის" მოეწყო. აქციის ფარგლებში დეპუტატმა, წარმომადგენლობის თანამშრომლებთან, ისნის რაიონის გამგებელ, კახა ლაბუჩიძესთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად 50 ძირი კვიპაროსი დავრგეთ

ჩვენი მიზანი ქალაქის ეტაპობრივი გამწვანება და ეკო სისტემის გაუმჯობესებაა. „გარემოს დაცვითი სტრატეგია ქალაქის მდგრადი განვითარების წინაპირობაა. ჩვენი მიზანი ქალაქის ეტაპობრივი გამწვანება, ეკო სისტემის დაცვა და გაუმჯობესებაა. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ მოსახლეობას შევუქმნათ უსაფრთხო და ჯანსაღი საცხოვრებელი გარემო.

როგორც საკრებულოს წევრი ვესწერებოდი საკრებულოს კომისიის სხდომებს.

სულ ჩატარდა:

სარევიზიო კომისიის 24-სხდომა.

ქონების მართვის და საფინასო - საბიუჯეტო კომისიის 27- სხდომა.

საკრებულოს 29-სხდომა.

მიღებულ იქნა - 397 განკარგულება.

127- დადგენილება.

და ბოლოს

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პოლიტიკურ გუნდს, რომელმაც საშუალება მომცა ჩემი წვლილი შემეტანა თვითმართველობის განვითარებაში და მეზრუნა ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის. ასევე მადლობას ვუხდი ვაზისუბანში მცხოვერებ მოსახლეობას, რომელთანაც მუშაობამ მომცა დიდი გამოცდილება, ჩემი შემდგომი საქმიანობისთვის თვითმართველობის მიმართულებით. ჩვენ ერთად ვზრუნავთ ყველა მპრობლემების საგავარებლად